THE WORLD BANK

Working for a World Free of Poverty

პრესრელიზი

მსოფლიო ბანკი ხელს უწყობს სახელმწიფო ინფრასტრუქტურის, ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის განვითარებას იმერეთის რეგიონში

პროექტი სტიმულს მისცემს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესებით, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობას

ვაშინგტონი, 6 ნოემბერი 2012 – დღეს მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოსთვის დაამტკიცა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტი 30 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით რეგიონული განვითარების მეორე პროექტისთვის. პროექტის მიზანია ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება იმერეთის რეგიონის ადგილობრივ ეკონომიკაში ტურიზმის მზარდი წილის მხარდასაჭერად.

პროექტი ორი კომპონენტისგან შედგება: 1) ინვესტიციები წყალტუბოს ურბანული აღდგენისთვის და ტურისტული მარშრუტის შემუშავება და 2) ინსტიტუციური განვითარება.

წყალტუბოს ურბანული განახლება მოიცავს მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მომსახურების რეაბილიტაციას ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების და პარკების კეთილმოწყობას და ტურისტული ობიექტების მშენებლობას. აღნიშნული ითვალისწინებს ადგილობრივი არქიტექტურული თავისებურებებით გამორჩეული სახელმწიფო შენობების აღდგენას. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად რეგიონი გაცილებით საინტერესო გახდება სტუმრებისთვის და მოიზიდავს კერძო ინვესტიციებს სამედიცინო და სპა ტურისტული კომპლექსის გარშემო.

იმერეთის ტურისტულ მარშრუტში შემავალი კულტურული მემკვიდრეობის ექვსი ყველაზე მიმზიდველი ძეგლის განახლება და მართვის გაუმჯობესება მოიცავს გელათის მონასტერს, ვანის მუზეუმს და მის გარშემო არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებს, უბისას ეკლესიას, კაცხის ეკლესიას, კაცხის მონასტერს და სვეტს, და მოწამეთას მონასტერს. პროექტი გულისხმობს ურბანული ლანდშაფტის გაუმჯობესებას და საზოგადოებრივი ავტოსადგომების კეთილმოწყობას, საინფორმაციო ჯიხურების მშენებლობას, ვანის მუზეუმის ინტერიერის და ექსტერიერის აღდგენას და რემონტს, მისასვლელი გზების კეთილმოწყობას და კულტურული მემკვიდრეობის შერჩეული ძეგლების დაცვას.

პროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის (GNTA), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს (ACHP), სახელმწიფო მუზეუმის და სხვა ადგილობრივი და რეგიონული ობიექტების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

ყველა აღნიშნული ღონისძიების განხორციელებამ სარგებელი უნდა მოუტანოს იმერეთის მცხოვრებთ და რეგიონში ჩამოსულ ტურისტებს. პროექტი ხელს შეუწყობს დასაქმებას, შეიქმნება

როგორც დროებითი სამუშაო ადგილები მშენებლობის პროცესში, ისე მუდმივი სამუშაო ადგილები პროექტის დასრულების შემდეგ.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობამ საქართველოში აწარმოა მთელი რიგი ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების, რამაც ხელი შეუწყო რეგიონის საჭიროებების განსაზღვრას, იმერეთის ტურისტული განვითარების და მარკეტინგული სტრატეგიის დასრულებას და პროექტის შესაბამის მომზადებას.

„პროექტის მთავარი ბენეფიციარები არიან იმერეთის მცხოვრებნი და ტურისტები, რომლებიც ისარგებლებენ განახლებული სახელმწიფო ინფრასტრუქტურით კულტურული მემკვიდრეობის აღდგენილი ძეგლების ტერიტორიაზე და ქალაქებში“, აღნიშნა **ჰენრი კერალიმ, მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში**. *„პროექტის მიზანია კერძო ინვესტიციების მოზიდვა, სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი ბიზნესის გამოცოცხლება და რეგიონული ტურისტული მარშრუტების შექმნა. აღნიშნული ღონისძიებების მეშვეობით მოსალოდნელია რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება“.*

„პროექტი მიზნად ისახავს რეგიონში ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას ტურიზმის განვითარებისადმი ინტეგრირებული მიდგომის დანერგვით, ინფრასტრუქტურაზე ყურადღების გამახვილებით, ურბანული განახლებით, კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებით, უნარ-ჩვევების განვითარებით და კერძო ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნით“, – განაცხადა **აჰმედ ეივეიდამ, რეგიონული განვითარების პროექტების ჯგუფის ხელმძღვანელმა.** *„მთლიანად, პროექტი ხელს შეუწყობს იმერეთის უკეთეს ინტეგრაციას ტურიზმის კონტექსტში ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით“.*

აღნიშნული პროექტი მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული რეგიონული განვითარების მეორე პროექტია. რეგიონული განვითარების პირველი პროექტი კახეთისთვის (60 მლნ. აშშ დოლარი, რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხი) მსოფლიო ბანკმა 2012 წლის მარტში დაამტკიცა. პროექტი მიზნად ისახავს კახეთის რეგიონსი ტურიზმსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებისათვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებას.

1992 წლიდან მსოფლიო ბანკს საქართველოსთვის გამოყოფილი აქვს დაახლოებით 1.62 მლრდ. აშშ დოლარი 52 პროექტისთვის.

რეგიონული განვითარების მეორე პროექტისთვის გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტი 25-წლიანია, რომელიც 5-წლიან საშეღავათო პერიოდს მოიცავს.

პრესრელიზი
2013/XXX/ECA

საკონტაქტო პირები:

ვაშინგტონი: კრისტინ შრედერ კინგი, ტელ.: (202) 473-9277, kshrader@worldbank.org
თბილისი: ინგა პაიჭაძე, ტელ.: (99532) 291-3096, ipaichadze@worldbank.org

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხ.:
www.worldbank.org.ge